

შეტყობინება მეათე

მმართველი პრინციპები, რომლებიც ჩვენ უნდა დავინახოთ და განვიცადოთ,  
რათა მოვიპოვოთ ქრისტე როგორც კეთილი მიწა

ადგილები წერილიდან: კოლ. 2:6; 1 კორ. 6:17; 12:12-13; საქმე. 9:3-5;  
გამ. 13:21-22; კოლ. 4:2

- I. „ამიტომ, როგორც მიიღეთ ქრისტე, იესო უფალი, ასევე იარეთ მასში“ – კოლ. 2:6:
- ა. როგორც მივიღეთ ქრისტე, ასევე უნდა ვიაროთ მასში; ვიაროთ მასში ნიშნავს ვიცხოვროთ, მოვიქცეთ, ვიყოთ და ვიარსებოთ ქრისტეში, რათა დავტკბეთ მისი სიმდიდრით, როგორც ისრაელის შვილები ცხოვრობდნენ კეთილ მიწაზე, ტკბებოდნენ მთელი მისი მდიდარი ნაყოფებით.
  - ბ. კეთილი მიწა დღეს არის ქრისტე როგორც ყოველსმომცველი სული (გალ. 3:14), დამკვიდრებული ჩვენს სულში (2 ტიმ. 4:22; რომ. 8:16), რათა იყოს ჩვენი ტკბობა.
  - გ. იმაში, რომ ვიაროთ სულის თანახმად (მუხ. 4; გალ. 5:16), არის ცენტრალური და მნიშვნელოვანი აზრი ახალ აღთქმაში.
- II. იმისათვის, რომ ვიაროთ ქრისტეში, ანუ ვიაროთ სულის თანახმად და სულით, რომელიც არის სინამდვილე კეთილი მიწისა, ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ გასაღები სულიერი ურთიერთობისა ხელახლაშობილი სამნაწილოვანი ადამიანებისა დასრულებულ სამეერთიან ღმერთთან არის 1 კორ. 6:17-ში: „ის, ვინც უერთდება უფალს, არის ერთი სული“:
- ა. ჩვენ თავგანს ვცემთ ღმერთ სულს ჩვენი სულით – იოანე 4:24.
  - ბ. ჩვენ ვიყავით ხელახლაშობილნი ღმერთისაგან როგორც სულისგან, რათა ვიყოთ სული – 3:6.
  - გ. სული მოწმობს ჩვენს სულთან, რომ ჩვენ ვართ ღმერთის შვილები – რომ. 8:16.
  - დ. ჩვენ ვხდებით ღმერთის საცხოვრებელი ჩვენს სულში, ხოლო სული არის ის, ვინც მკვიდრობს ამ საცხოვრებელში – ეფეს. 2:22.
  - ე. უფალი იესო როგორც პნემატური ქრისტე და როგორც მაცოცხლებელი სული არის ჩვენს სულში – 2 ტიმ. 4:22; რომ. 8:10.
  - ვ. თუ ის სული, ვინც აღადგინა იესო მკვდრეთით, მკვიდრობს ჩვენში, მაშინ ის, ვინც აღადგინა ქრისტე მკვდრეთით, გააცოცხლებს ჩვენს მომაკვდავ სხეულებსაც თავისი სულის მეშვეობით, რომელიც მკვიდრობს ჩვენში – მუხ. 11.
  - ზ. თუ ჩვენ სულით ვაკვდინებთ სხეულის საქმეებს, მაშინ ვიცხოვრებთ – მუხ. 13ბ.
  - თ. ჩვენ მივმართავთ გონებას სულისკენ, რათა გვქონდეს სიცოცხლე და მშვიდობა – მუხ. 6.
  - ი. ის, ვინც არის ქრისტესგან, ჯვარს აცვა (სულით) ხორცი მის გულისთქმებთან და ვნებებთან ერთად – გალ. 5:24.
  - კ. როდესაც დავდივართ სულით, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ავასრულებთ ხორცის გულისთქმებს – მუხ. 16.
  - ლ. თუ ჩვენ ვცხოვრობთ სულით, ვიაროთ კიდევაც სულით – მუხ. 25.
  - მ. ჩვენ დავდივართ (ვარსებობთ) სულში (შერწყმულ სულში) და სულის თანახმად (შერწყმული სულის) კანონის სამართლიანობის აღსასრულებლად – რომ. 8:4.
  - ნ. იესო ქრისტეს სულის უხვი შეწევნით ჩვენ ვცხოვრობთ ქრისტეს და განვადიდებთ მას – ფილიპ. 1:19ბ-21ა.
  - ო. ჩვენ ვლოცულობთ ყოველთვის სულში – ეფეს. 6:18.
  - პ. ჩვენ ვწმიდნებით სულში – რომ. 15:16.

- ქ. ჩვენ ვახლდებით სულით ჩვენს სულში – ტიტ. 3:5; ეფეს. 4:23.
- რ. ჩვენ გარდავისახებით უფალი სულით ქრისტეს დიდებულ სახებად – 2 კორ. 3:18.
- ს. სული როგორც დასრულებული სამერთიანი ღმერთი და პატარძალი როგორც გარდასახული სამნაწილოვანი ადამიანი საბოლოოდ ხდებიან სულიერი წყვილი, შერწყმა ღვთაებრიობისა ადამიანობასთან (გამოცხ. 22:17ა), რათა იყვნენ დასრულებული ახალი იერუსალიმი მისი მარადიული გადიდებისათვის და გამოხატულებისათვის ღვთაებრივი დიდებით, რომელიც გამოვლენილია განდიდებულ ადამიანობაში (21:10-11).

**III. ჩვენ უნდა დაინახოთ, რომ ის, ვისშიც უნდა ვიაროთ ჩვენ, – არის ქრისტე მის სრულ მსახურებაში სამ ეტაპზე:**

- ა. ცენტრალური გამოცხადება ღმერთზე – არის პროგრესირებადი გამოცხადება ღმერთზე ბიბლიაში: „მარტოხელა“ ღმერთი, განკაცებული ღმერთი, გამომსყიდველი ღმერთი, შედგენილი ღმერთი, გაძლიერებული ღმერთი, ჩვენში დამკვიდრებული ღმერთი და ღმერთი ერთობლიობაში; ღმერთი ერთობლიობაში არის ქრისტე-სხეული, რომლის საბოლოო დასრულებაც არის „დაქორწინებული“ ღმერთი, ღმერთი საბოლოო ერთობლიობაში, ახალი იერუსალიმი.
- ბ. უფლის აღდგენა არის ქრისტეს აღდგენა მის სრულ მსახურებაში სამ ეტაპზე – განკაცება, ჩართვა და გაძლიერება; უფლის აღდგენა არის ის, რომ ღმერთი გახდა ხორცი, ხორცი გახდა მაცოცხლებელი სული, და მაცოცხლებელი სული გახდა შვიდმაგად გაძლიერებული სული, ეკლესიის ასაშენებლად, რომელიც ხდება ქრისტეს სხეული და ასრულებს ახალ იერუსალიმს:
  1. ღმერთი, რომელიც გახდა ხორცი არის „მარტოხელა“ ღმერთი, რომელიც გახდა განკაცებული ღმერთი და გამომსყიდველი ღმერთი – იოანე 1:1, 14, 29.
  2. ხორცი, რომელიც გახდა მაცოცხლებელი სული, და მაცოცხლებელი სული, რომელიც გახდა შვიდმაგად გაძლიერებული სული არის შედგენილი ღმერთი, რომელიც გახდა გაძლიერებული ღმერთი, რათა იყოს ჩვენ შიგნით დამკვიდრებული ღმერთი – 1 კორ. 15:45ბ; გამოცხ. 1:4; 3:1; 4:5; 5:6.
  3. აშენებული ეკლესია, რომელიც ხდება ქრისტეს სხეული და ასრულებს ახალ იერუსალიმს, – არის ღმერთი ერთობლიობაში, ქრისტე-სხეული, რომელიც ასრულებს ახალ იერუსალიმს, საბოლოო კავშირს, შერწყმას და ერთობლიობას გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთისა გამზადებულ და დასრულებულ სამნაწილოვან ეკლესიასთან – იოანე 17:21; ეფეს. 4:4-6, 16; კოლ. 2:19; გამოცხ. 19:7-9; 21:2, 9-10.

**IV. უფლის დღევანდელი აღდგენა არის აღდგენა ქრისტე-სხეულისა („ქრისტესი“, აქ იგუხლისმება ქრისტეს სხეული) ეკლესიურ ცხოვრებაში; ქრისტე-სხეული არის ღმერთი ერთობლიობაში; აქედან გამომდინარე, ვიაროთ ქრისტეში – ნიშნავს ვიაროთ მასში როგორც ქრისტე-სხეულში, რომელიც არის ღმერთი ერთობლიობაში – 1 კორ. 12:12-13; საქმე. 9:4-5, 15; კოლ. 2:19; ეფეს. 4:1-6, 15-16; იოანე 14:23; 17:21:**

- ა. 1 კორ. 12:12-ში ნათქვამია: „რადგან, როგორც სხეულია ერთი, თუმცა მრავალი ასო აქვს, ხოლო სხეულის ყველა ასო, თუმცა ბევრნი არიან, ერთი სხეულია, ასეა ქრისტეც“: „ქრისტე“ ამ მუხლში – ეს არ არის ინდივიდუალური ქრისტე, არამედ ერთობლივი ქრისტე, ქრისტე, რომელიც წარმოქმნის ერთობლიობას თავის ყველა ასოსთან ერთად.
- ბ. ეს არის ერთობლივი „მე“, რომელიც დაინახა მოციქულმა პავლემ თავის გამარჯვებულ მიმართვაში ქრისტესადმი; მან დაინახა, რომ უფალი იესო და მისი მორწმუნეები არის ერთი დიდი პიროვნება, საოცარი „მე“ – საქმე. 9:3-5.

- გ. ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ქრისტე, რომელშიც ჩვენ უნდა ვიაროთ დღეს, არის არა მარტო ინდივიდუალური ქრისტე, არამედ საოცარი „მე“, ქრისტე-სხეული – ღმერთი ერთობლიობაში.
- დ. მივიღოთ ქრისტე და ვიაროთ ქრისტეში – ნიშნავს მივიღოთ ქრისტე-სხეული და ვიაროთ ქრისტე-სხეულში, რადგან ქრისტე დღეს არის ერთობლივი ქრისტე; ქრისტე არის უკვე არა მარტო ინდივიდუალური ქრისტე, არამედ ერთობლივი ქრისტეც, სხეულის თავი; როდესაც ჩვენ დავდივართ ერთობლივ ქრისტეში, ამას მოაქვს უდიდესი განსხვავება ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში.
- ე. უფლის აღდგენა არის აღდგენა „გაქრისტეებისა“, აღდგენა მხოლოდ და მთლიანად ქრისტეს პიროვნებისა იმ მიზნით, რომ მოიპოვოს სინამდვილე ქრისტე-სხეულისა ეკლესიურ ცხოვრებაში – 1 თეს. 5:23; ფილიპ. 1:19-21ა; 3:8-14; 2 კორ. 2:10; კოლ. 3:10-11.
- ვ. დღეს უფალი აშენებს ქრისტე-სხეულს ეკლესიურ ცხოვრებაში; ქრისტე-სხეულში ქრისტე ინერგება მის ყველა ასოში, და მისი ყველა ასო ინერგება მასში სიცოცხლეში ზრდის და სიცოცხლეში გარდასახვის მეშვეობით ქრისტეს გამოსატვისათვის – 2:19; რომ. 12:2; 2 კორ. 3:18; 1 კორ. 12:12-13:
  1. ქრისტე-სხეულში ჩვენ ვტკბებით ქრისტეთი როგორც ყველაფრით – მუხ. 3ბ, 13.
  2. ქრისტე-სხეულში არის ფუნქცია ყველა ასოსი – მუხ. 14-22.
  3. ქრისტე-სხეულში ხდება ერთად შეზავება ასოებისა სამერთიანი ღმერთის ერთობაში – მუხ. 23-27; იოანე 17:21; ეფეს. 4:1-6.

**V. იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ყოვლისმომცველი ქრისტე როგორც სინამდვილე კეთილი მიწისა და ვიაროთ ასეთ ქრისტეში, ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ უფლის თანდასწრება არის ყველაფერი ჩვენთვის ჩვენს ცხოვრებაში უფალში, და ჩვენს სამუშაოში უფალში; გამოსვლის 33:12-17-ში მოსე ევაჭრებოდა ღმერთს, არწმუნებდა მას, რომ მისი თანდასწრება წასულიყო მასთან ერთად და ღმერთის ხალხთან ერთად; ღმერთმა უპასუხა, უთხრა: „ჩემი თანდასწრება წამოვა შენთან ერთად, და მე მოგასვენებ შენ“ – მუხ. 14:**

- ა. უფალი ცხოვრობს ჩვენში, და ის მოდის ჩვენთან ერთად, სადაც არ უნდა წავიდეთ, მაგრამ მოდის ჩვენთან ერთად მისი თანდასწრება? ხშირად უფალს შეუძლია დაგვეხმაროს ჩვენ, მაგრამ ამასთან ერთად ის შეიძლება არ იყოს კმაყოფილო ჩვენით; ჩვენ უნდა ვიყოთ უფლის პირდაპირი, უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.
- ბ. უფლის თანდასწრება, არის მისი ღიმილი, – ეს არის ხელმძღვანელი პრინციპი, რომლის გაყოლითაც ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ ქრისტეში როგორც კეთილი მიწის სინამდვილეში და მოვიპოვოთ ასეთი ქრისტე; ღმერთის თანდასწრება არის გზა, „რუქა“, რომელიც უჩვენებს ღმერთის ხალხს იმ გზას, რომელი გზითაც უნდა იარონ მათ.
- გ. თანახმად სურათისა გამოსვლის წიგნში, უფლის თანდასწრება მიდიოდა მათ წინ „დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად და ღამე ცეცხლის სვეტში, გზის გასანათებლად, რათა შესძლებოდათ სიარული დღისითა და ღამით. არ შორდებოდა ხალხს ღრუბლის სვეტი დღისით და ცეცხლის სვეტი ღამით“ – 13:21-22:
  1. ღრუბელი წინასახეების სიტყვაში აღნიშნავს სულს (1 კორ. 10:1-2), ხოლო ცეცხლი განკუთვნილი განათებისათვის, აღნიშნავს ღმერთის სიტყვას (ფსალ. 119:105; იერ. 23:29); ამგვარად, მყისიერი, ცოცხალი წინამძღოლობა ღმერთის თანდასწრებიდან მოდის ან სულის მეშვეობით, ან სიტყვის მეშვეობით.
  2. ორი სვეტი არის სიმბოლო თვით ღმერთისა, რადგან ის არის სული, და სიტყვა (იოანე 4:24; 1:1); უფრო მეტიც, სიტყვა არის ასევე სული (6:63; ეფეს. 6:17).

3. ამგვარად, ღმერთი, სიტყვა და სული ერთობაში მუდმივად მიგვიძღვებიან და მიგვმართავენ ჩვენ – დღისით და ღამით; ქრისტიანულ ცხოვრებაში არ არის განსხვავება დღესა და ღამეს შორის, რადგან სინათლე ცეცხლის სვეტისგან გადააქცევს ღამეს დღედ.
- დ. გამოსვლა ასევე გვიჩვენებს, რომ სწორედ ქრისტე როგორც ღმერთის ანგელოზი მიუძღვოდა ხალხს; როდესაც ღმერთის ანგელოზი იწყებდა მოძრაობას, სვეტი ასევე მოძრაობდა; ეს გვიჩვენებს, რომ ანგელოზი და სვეტი იყო ერთი; ქრისტე და წინამძღოლი სული განუყოფელია ერთმანეთისგან (14:19; იოანე 14:17-20; 16:13; 2 კორ. 3:17; გამოცხ. 5:6); გარდა ამისა, როდესაც ისინი, ვინც მიჰყვებიან უფალს, აწყდებიან წინააღმდეგობას, წარმმართველი სინათლე ყოველთვის სპონტანურად ხდება დამცველი სინათლე; მაგრამ მოწინააღმდეგეებისათვის დამცველი სინათლე ხდება სიბნელე (გამ. 14:20).

**VI. იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ყოვლისმომცველი ქრისტე როგორც კეთილი მიწის სინამდვილე და ვიართო ასეთ ქრისტეში, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და ვიმსახუროთ სამღვდელოების სინამდვილეში უხვი და საფუძვლიანი ღოცვის მეშვეობით ჩვენს ცხოვრებასა და მსახურებაში – 1 პეტ. 2:5, 9; კოლ. 4:2:**

- ა. არის თუ არა ეკლესია ცოცხალი და ახალი და გამდიდრებული, დამოკიდებულია ამ ერთ ფაქტორზე – ჩვენს მუდმივ ავსებაზე სულით; იმისათვის, რომ მუდმივად ავივსოთ სულით, ჩვენ უნდა ვიყოთ ისინი, ვისაც აქვს სურვილი, ცარიელია და ღოცულობს – მუხ. 2; ფილიპ. 2:13; მათე 5:3, 8; ლუკა 1:53; ეფეს. 5:18.
- ბ. სიბრძნე, გაგება, ცოდნა და უნარები, აუცილებელი კეთილშობილური სამუშაოსათვის ეკლესიის ასაშენებლად, უნდა იყოს ჩვენთვის თვითონ ღმერთი როგორც სული; მხოლოდ ღმერთის სულს შეუძლია ააშენოს თავისი საკუთარი საცხოვრებელი ჩვენი მეშვეობით – გამ. 31:1-3; ზაქ. 4:6.
- გ. თუ ყველა წმიდანი ყველა ეკლესიაში იქნება დაჟინებული ღოცვაში, ეს ძალიან გაამდიდრებს და აამაღლებს აღდგენას; გარდა ამისა, წმიდანები დატკბებიან უფლით, მისი თანდასწრებით და მისი მყისიერი და მუდმივი ცხებულებით; მთელი დღის განმავლობაში ისინი დატკბებიან ღიმილით უფლის სახეზე, და ცოცხალი პიროვნება ქრისტესი გახდება მათი განცდა და ტკბობა.